ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ურთიერთმომსახურების შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №

თბილისი **2020 წელი**

მომსახურების ხელშეკრულება დადებულია 2014 წლის 26 დეკემბრის №2994 „ნარჩენების მართვის კოდექსის“ საქართველოს კანონის, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს ის მნიშვნელობა, რაც დადგენილია „ნარჩენების მართვის კოდექსით“ და „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით, ხოლო სხვა შემთხვევაში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მიღებული სხვა ნორმატიული აქტებითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ ტერმინებს.

მხარეები

ერთის მხრივ **კომპანიის დასახელება** **საიდენტიფიკაციო კოდი** (შემდეგ დამკვეთი/შემსრულებელი ან/და ოპერატორი) წარმომადგენელი მისი დირექტორის/გენ. დირექტორი **სახელი გვარი** სახით და მეორეს მხრივ შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი “ (ს/კ 205295893) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი დირექტორი **თამაზ კოხრეიძის** (შემდეგ დამკვეთი/შემსრულებელი ან/და ოპერატორი) მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი.

1.1 დამკვეთი უკვეთავს, ხოლო შემსრულებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს, ამ ხელშეკრულებით გათვალისიწნებული პირობების შესაბამის მომსახურება, კერძოდ: დამკვეთის მიერ დაწესებულებაში **სეპარირებულ და მარკირებულ მდგომარეობაში** შეგროვილი **სარისკო სამედიცინო ნარჩენების** (გარდა რადიაციული) გატანა-ტრანსპორტირება შემდგომში მათი გაუვნებლობის მიზნით (მეთოდი ინსენირაცია);

- ბასრი, მჭრელი, მჩხვლეტავი საგნები - 18 01 01
- სხეულის კიდურები ან ორგაოები, მათ შორის სისხლის და სისხლის პროდუქტები - 18 01 02
- ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით - 18 01 03*
- ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება არ ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით - 18 01 04

1.2 მომსახურების გაწევა–ნარჩენების გატანა ან/და კონტეინერების შეცვლა ხორციელდება ყოველი კალენდარული სამუშაო დღის მიხედვით ან სხვა სიხშირით დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.

1.3 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეიტანოს ცვლილება გრაფიკში.

1.4 ამ მუხლის 1.1 პუნქტის მოთხოვნათა უზრუნველყოფის მიზნით ოპერატორი დამკვეთის მოთხოვნით იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს დაწესებულება სპეციალური კონტეინერით, რომელიც წარმოადგენს შემსრულებლის საკუთრებას და დამკვეთს გადასცემს მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით (ნარჩენების შესაგროვებლად). კონტეინერების მოცულობას საჭიროების მიხედვით განსაზღვრავს "დამკვეთი" წინასწარ „შემსრულებელთან“ შეთანხმებით. კონტეინერების დაწესებულების ტერიტორიაზე არსებობისას კონტეინერებზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს.

1.5 ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში "შემსრულებლის" მიერ "დამკვეთის" ტერიტორიაზე შეტანილი ინვენტარი წარმოადგენს "შემსრულებლის" მფლობელობას (მათ შორის საკუთრებას). მისი დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში "დამკვეთი" ვალდებულია აანაზღაუროს ინვენტარის ღირებულება).

1.6 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ადგილია : ქ. თბილისი 0158, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა №24

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება და მოცულობა

2.1 ხელშეკრულების ერთი თვის მომსახურების ღირებულება და მოცულობა განსაზღვრულია დანართი #1-ში, რომელიც თან ერთვის ამ ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ანგარიშსწორების წესი.

3.1 მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება პერიოდულად, მიმდინარე თვეში გაწეული მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება შესრულებული მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტის და/ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა დოკუმენტაციის საფუძველზე (ანგარიშფაქტურა ან სხვა), გაფორმებიდან/მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღის პერიოდში, შემსრულებლის მიერ მითითებული საბანკო მონაცემების მიხედვით.

მუხლი 4. შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსრულებლის მოთხოვნით მომსახურების მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტით.

4.2 "შემსრულებელი" ყოველი თვის დამთავრებიდან 5 ან მეტი სამუშაო დღეში წარუდგენს "დამკვეთს" შესრულებული სამუშაოს–მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და ანგარიშფაქტურას დადგენილი ფორმის მიხედვით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება–ვალდებულებები

5.1 **შემსრულებელი ვალდებულია** დადგენილი სპეციალური ნორმების შესაბამისად და განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით უზრუნველყოს დამკვეთის, როგორც ნარჩენების წარმომქმნელის–მფლობელის დაწესებულების ნარჩენების გატანა, გაუვნებელყოფის ადგილამდე მათი ტრანსპორტირება და შემდგომში ამ ნარჩენების გაუვნებელობა (ინსინირების მეთოდით).

5.2 ხელშეკრულების პირველი მუხლითა და ამ მუხლის 5.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით შემსრულებელი დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად იღებს ვალდებულებას, რომ დამკვეთი –დაწესებულება მოამარაგოს სპეციალური კონტეინერებით.

5.3 ნარჩენების გატანა უნდა განხორციელდეს იმ პერიოდულობით, რომელსაც მოითხოვს "დამკვეთის" სამუშაოების მოცულობა და ინტესივობა.

5.4 შემსრულებელი უფლებამოსილია დამკვეთს მოთხოვოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების და მოთხოვნების ჯეროვნად და დადგენილი ნორმების შესაბამისად შესრულება.

5.5 შემსრულებელი უფლებამოსილია დამკვეთს მოთხოვოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა.

5.6 შემსრულებელი უფლებამოსილია დამკვეთს მოთხოვოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ საქართველოს კანონით, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მოქმედი სხვა ნორმატიული (საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული) აქტებით დადგენილი მოთხოვნების უპირობოდ დაცვა, ხოლო დამკვეთის მიერ შემსრულებლის და ამ ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების არშესრულების ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია ყოველგვარი შემდეგი გაფრთხილების გარეშე შეწყვიტოს მომსახურების გაწევა და მოთხოვოს ზიანის ანაზღაურება.

5.7 დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ საქართველოს კანონით, „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მოქმედი სხვა ნორმატიული (საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული) აქტებით დადგენილი მოთხოვნების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

5.8 დამკვეთი ვალდებულია შემსრულებელს გაწეული მომსახურების ღირებულება გადაუხადოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად, დადგენილ ვადებში.

5.9 დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებელს მოთხოვოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული შესაბამისი ნორმატიული (საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული) აქტებით დადგენილი მოთხოვნების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

5.10 დამკვეთი ვალდებულია შეასრულოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145-ე დადგენილებით განსაზღვრული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, გაიაროს შესაბამისი რეგისტრაცია და მოახდინოს ელექტრონული ანგარიშგება და აღრიცხვა. ასევე გადასცეს ნარჩენების გამტანს ტრანსპორტირებისა და სახიფათო ნარჩენების საინფორმაციო ფურცელი.

მუხლი 6. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

6.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა წერილობით (მათ შორის ელექტრონული ფოსტით) აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

6.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც ამ ხელშეკრულებას.

7.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად მხარეებისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.3 ამ მუხლის 7.2 პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება მომსახურების ტარიფის ანუ ხელშეკრულების ღირებულების ცვლილებაზე, შემსრულებელი უფლებამოსილია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არანაკლებ ყოველი მომდევნო 12 კალენდარული თვის პერიოდის გასვლის შემდეგ დამკვეთს შეთავაზოს მომსახურების განსხვავებული ღირებულება.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ საქართველოს „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მოქმედი სხვა ნორმატიული (საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული) აქტებით დადგენილი პირობებისა და მოთხოვნების არშესრულებამ ან/და არაჯეროვნად შესრულებამ, თუ გამოიწვია მეორე მხარის რაიმე სახის ზიანი (მათ შორის მატერიალური ზიანი) ან/და რაიმე სახის (მათ შორის ადმინისტრაციული) პასუხისმგებლობა მაშინ, ის მხარე, რომლის ქმედებითაც (მოქმედება ან უმოქმედობა) დაირღვა აღნიშნული მოთხოვნები და პირობები ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს გამოწვეული ზიანი მხარის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

8.2 ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რამაც გამოიწვია ხელშეკრულების მოშლა–შეწყვეტა მას მეორე მხარის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%.

8.3 ამ მუხლის 8.2 პუნქტით განსაზღვული მოთხოვნის უზრუნველყოფისათვის ხელშეკრულების ღირებულება გამოითვლება ხელშეკრულების მოშლა–შეწყვეტის თარიღამდე ბოლო 12 თვის განმავლობაში გაწეული მომსახურების მთლიანი ღირებულება–საფასური.

8.4 მხარეები უფლებამოსილი არიან, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შედეგად გამოწვეული ზიანი მოითხოვონ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გარდა ამ მუხლის 8.1 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

მუხლი 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით.

9.2 მხარეთა შორის უთანხმოების ან დავის ან რაიმე მოთხოვნის წარმოშობის შემთხვევაში მხარეები ვალდებულები არიან გასაგებად, გარკვევით და არგუმენტებით დაასაბუთონ მოთხოვნები, უთანხმოებისა და სადავო საკითხების წარმოშობის საფუძვლები, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების მითითებით (არსებობის შემთხვევაში).

9.3 მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 1 (ერთი) წელი.

10.2 ხელშეკრულების მოქმედება შეწყვეტილად ითვლება, თუ:

10.2.1 მხარის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა;

10.2.2 გავიდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა;

10.2.3 მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

10.3 მხარის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა:

10.3.1.1 ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულების მე–9 მუხლის 9.2 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი დასაბუთებული წერილობითი ფორმით, მათ შორის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

10.3.1.2 ამ მუხლის 10.2.1 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის ვადაა 3 (სამი) თვე, გარდა მე–5 მუხლის 5.6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

10.3.1.3 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა – ხელშეკრულების შეწყვეტა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებითი განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხიასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებით ვადის განსაზღვრას უთანაბრდება, გაფრთხილება.

10.3.1.4 თუ ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილება არსებითად ეწინააღმდეგება ხელშეკრულების შინაარს, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება–შეწყვეტა.

10.3.1.5 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ჩაბარდა დამკვეთს, ხოლო მეორე შემსრულებელს.

მხარეთა რეკვიზიტები

კომპანიის დასახელება	შპს "მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი"
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი 0158, ალექსანდრე
საიდენტიფიკაციო კოდი	თვალჭრელიძის ქუჩა .№24
	ს/კ 205295893
ბანკი სს	ბანკი სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი:	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა	ა/ა GE18TB7002336060100001

დირექტორი/გენ. დირექტორი **სახელი გვარი**

დირექტორი თამაზ კოხრეიძე

დანართი #1

ხელშეკრულების ფასი დღგ-ს ჩათვლით		
დასახელება	ოდენობა	ფასი დღგ ჩათვლით
18 01 01	კგ	0.00 ლარი
18 01 02	კგ	0.00 ლარი
18 01 03*	კგ	0.00 ლარი
18 01 04	კგ	0.00 ლარი
გატანის ინტენსივობა		
ორშაბათი-შაბათი		
კონტეინერების რაოდენობა		
50ლ	ცალი	
30ლ	ცალი	
10ლ	ცალი	
4 ლ	ცალი	